განმარტებითი ბარათი

წინამდებარე პროექტი წარმოადგენს მომსახურების ობიექტს, კერძოდ თეთრეულის სარეცხ საწარმოს და ავტოსამრეცხაოს. ობიექტი მდებარეობს დიდი დიღმის, მეაბრეშუმეობის ს/კ ინსტიტუტის ყოფილ ტერიტორიაზე. სამშენებლო მოედანი წარმოადგენს ვაკე ადგილს, რომლის ნიშნულებიც მერყეობს 20-70 სმ-ს შორის. ტერიტორიაზე არ გადის საინჟინრო ქსელები და თავისუფალია სხვა შენობა-ნაგებობებისაგან.

შენობა წარმოადგენს ერთ სართულიან რკ/ბ-ის მონოლითური კონსტრუქციების ნაგებობას, რომლის კედლები მოპირკეთებულია რკინის კარკასზე მოწყობილი შემინვით და სენდვიჩის ფერადი პანელებით. შენობის სიმაღლე შეადგენს 4მ-ს და მასში მოეწყობა თეთრეულის სარეცხი ავტომატიზირებული საწარმო.

საწარმოს მიდგმული აქვს სამსართულიანი საოფისე შენობა, რომლის პირველ სართულზე განთავსდება საწარმოს მუშა-მოსამსახურეებისთვის გასახდელები, საშხაპეები, ტუალეტები, კვების ობიექტი სამზარეულოთი და დასასვენებელი ოთახი. ხოლო II და III სართულებზე განთავსდება საწარმოს ადმინისტრაცია.

ეზოში გათვალისწინებულია მარტივი ტიპის კონსტრუქციებით ავტოსამრეცხაო 7 ავტომობილზე აგრეთვე გამოიყოფა სამეურნეო ადგილი, რომელიც შეიღობება დახურული ღობით.

საწარმოს წინა ეზო მოპირკეთდება ბეტონის მოზაიკური ფილებით. ხოლო ავტოსამრეცხაო და ღია ავტოსადგომი ასვალტობეტონით.

ტექნიკურ ეკონომიური მაჩვენებლები

მიწის ნაკვეთის ფართობი.....1686 მ^2

განაშენიანების ფართობი.....958.35 მ^2
საერთო ფართობი.....1250.57 მ^2
მათ შორის:
საწარმოო ფართობი.....753.4 მ^2
საოფისე ფართობი.....310.18 მ^2
კიბის უჯრედის ფართობი.....23.4 მ^2
ავტოსამრეცხაოს ფართობი.....163.59 მ^2

სამშენებლო მოცულობა:
0.00 ნიშნულს ქვევით.....0.00 მ^3
0.00 ნიშნულს ზევით.....4485.69 მ^3

შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე:
0.00 ნიშნულს ქვევით.....1.80 მ
0.00 ნიშნულს ზევით.....9.00 მ

კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი – 958.35 მ^2 **კ1=0.6**
კ2 განაშენიანების ინტენსივობის საანგარიშო ფართობი – 1313.59 მ^2 **კ2=0.8**
კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი – 43.89 მ^2 **კ3=0.1**

ავტორი: ნ. ჩხეტიანი